სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/190

ქ. თბილისი

22 ივლისი 2019

სტუ-ის საინჟინრო სპეციალობის სტუდენტებისათვის სასწავლო კურსად „შესავალი ფიზიკაში“ შეტანის საკითხის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის, საინჟინრო ფიზიკის დეპარტამენტის უფროსის, პროფ. ა. გიგინეიშვილის მოხსენებითი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2019 წლის 22 ივლისის №01-05-02/15 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო სპეციალობის სტუდენტებისათვის საუნივერსიტეტო სასწავლო კურსად შეტანილ იქნეს „შესავალი ფიზიკაში“ (5 კრედიტი);
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **ა. ფრანგიშვილი**

აკადემიური საბჭოს მდივანი **გ. სალუქვაძე**